საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურიდიული დახმარების ცენტრი აცხადებს კონკურსს ადვოკატ-კონსულტანტის თანაშემწეთა მისაღებად საზოგადოებრივ საწყისებზე.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურიდიული დახმარების ცენტრი

აცხადებს კონკურსს ადვოკატ-კონსულტანტის თანაშემწეთა მისაღებად საზოგადოებრივ საწყისებზე.

კონკურსში მონაწილე პირი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:
•იყოს იურისტი ან იურიდიული ფაკულტეტის (საერთაშორისო სამართლის) ბაკალავრიატის მე-3, მე-4 ან მაგისტრატურის კურსის სტუდენტი ან კურსდამთავრებული.
•იცოდეს კომპიუტერთან მუშაობა (საოფისე პროგრამები)
კონკურსში მონაწილე პირმა უნდა წარმოადგინოს:
1.განაცხადის ფორმა, რომელსაც ადგილზე შეავსებს;
2.ავტობიოგრაფია (cv);
3.იურისტის დიპლომის ან სტუდენტობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
4.სამოტივაციო წერილი (კონკრეტულად მიუთითეთ თქვენი მოტივაცია, თუ რატომ გსურთ ამ კონკურსში მონაწილეობის მიღება);
იურიდიულ დახმარების ცენტრში თანაშემწედ ყოფნა გულისხმობს 6 თვიანი კურსის გავლას, რომლის წარმატებით გავლის შემთხვევაში მონაწილეები მიიღებენ შესაბამის სერთიფიკატს.
თანაშემწეთა მოვალეობაში შედის:
1.იურიდიულ დახმარების ცენტრში მოქალაქეებისაგან შემოსული კითხვა- პასუხების დაფიქსირება;
2.სარჩელების, განცხადებებისa და სხვა სამართლებრივი დოკუმენტაციის მომზადებაში დახმარება;
3.საკანონმდებლო სიახლეებზე მუშაობა;
4.ბუკლეტებისა და ლიფლეტების შედგენისას იურისტების დახმარება და სხვა მოვალეობათა შესრულება;

საბუთების მიღების ვადაა 2012 წლის 20 ნოემბრიდან 07 დეკემბრის ჩათვლით.

კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად:
1.პირველი ეტაპი - წერითი გამოცდა.
(თქვენ დაგევალებათ თითო კაზუსის ამოხსნა თქვენს მიერ მითითებული სამართლის დარგის შესაბამისად _ სისხლის სამართალში სტაჟირების გავლის მსურველები ამოხსნიან ერთ კაზუსს, რომელიც შედგენილი იქნება სისხლის სამართლის კოდექსის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, ხოლო, სამოქალაქო-ადმინისტრაციულ სამართალში სტაჟირების გავლის მსურველები, ამოხსნიან ორ კაზუსს, რომელთაგან ერთი იქნება შედგენილი სამოქალაქო სამართლის კოდექსის და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად, ხოლო მეორე - ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის და

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მიხედვით. წერითი გამოცდა ჩატარდება 2012 წლის 18 დეკემბერს 12 საათზე, საიას სემინარების დარბაზში, ქვემოთ მითითებულ მისამართზე. კოდექსები თან იქონიეთ).

2.მეორე ეტაპი - გასაუბრება.

წერითი გამოცდის წარმატებით გადალახვის შემთხვევაში დაბარებული იქნებით გასაუბრებაზე, სადაც ასევე, შემოწმდება საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა.

დამატებითი ინფორმაციისათვის საკონტაქტო პირი - ცისანა ქადაგიშვილი.
მისამართი: თბილისი, ჯანსუღ კახიძის ქ. (ყოფილი კრილოვის) #15
ტელ: 2-99 50 76; 2-93 61 01